დრ. ფალკო შმიდერი

დრ. ფალკო შმიდერი (FALKO SCHMIEDER; HTTP://BIT.LY/1IA8JNR) კულტურის მკვლევარი, ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრის (ZFL) დირექტორის პირადი რეფერენტი და მეცნიერ-თანამშრომელია.

1994–2000 წლებში დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტსა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში კომუნიკაციისა და პოლიტიკის მეცნიერებების, სოციოლოგიისა და ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ, შმიდერმა 2004 წელს ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია.

2004 წლიდან ის უძღვებოდა კურსებს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პუბლიცისტიკისა და კომუნიკაციის მეცნიერების ინსტიტუტში და ევროპის ვიადრინის უნივერსიტეტში. 2005 წლიდან შმიდერი ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელია. 2007–2009 წლებში იყო მოწვეული პროფესორი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის კომუნიკაციის ისტორიის ფაკულტეტზე.

2011 წელს შმიდერი იყო სტენფორდის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, 2013 წლის შემოდგომაზე კი – მინესოტას უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

დრ. ფალკო შმიდერი ავტორია შემდეგი მონოგრაფიებისა:
*LUDWIG FEUERBACH UND DER EINGANG DER KLASSISCHEN FOTOGRAFIE. ZUM VERHÄLTNIS VON ANTHROPOLOGISCHEM UND HISTORISCHEM MATERIALISMUS (*ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური ფოტოგრაფიის შემოსვლა. ანთროპოლოგიური და ისტორიული მატერიალიზმის ურთიერთმიმართებისათვის), PHILO, ბერლინი, ვენა 2004, ISBN 978-3-86572-508-0;
(ერნსტ მიულერთან ერთად) *BEGRIFFSGESCHICHTE UND HISTORISCHE SEMANTIK. EIN KOMPENDIUM (*ცნების ისტორია და ისტორიული სემანტიკა. გზამკვლევი), SUHRKAMP 2015, ISBN 978-3-518-29717-9.